სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მზია გარშაულიშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის
- **მზია გარშაულიშვილის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - მზია გარშაულიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი მზია გარშაულიშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მზია გარშაულიშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მის შესახებ გამოთხოვილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეო-

ბის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. ᲫᲮია გარშაულიშვილის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა. ამასთან, მზია გარშაულიშვილის შეფასებისას გათვალისწინებულია მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისება.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას, კორექტულობას. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მზია გარშაულიშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება. სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ის ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმები მზია გარშაულიშვილს გადახდილი აქვს დროულად.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც პრინციპულ და სამართლიან პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად მიღება, არის პიროვნულად მტკიცე.

ამასთან, მზია გარშაულიშვილი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი, საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მზია გარშაულიშვილი გაწონასწორებულია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, მზია გარშაულიშვილი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. აგრეთვე, ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში არ იძებნება ინფორმაცია საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე.

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის**</u> მიხედვით კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის - მზია გარშაულიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან

ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მზია გარშაულიშვილი აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ ღონისძიებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ მზია გარშაულიშვილი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე მზია გარშაულიშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე - საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის**</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ მზია გარშაულიშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი (რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 8, მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 78/16). იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „მზია გარშაულიშვილმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლის, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 91 ქულობრივი შეფასება. <u>ადმინისტრაციული სამართალში</u> მზია გარშაულიშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. აღსანიშნავია, რომ იგი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი, მუდმივად მზადაა გაიღრმავოს ცოდნა. იგი მუშაობდა სისხლის სამართლის მიმართულებით, თუმცა მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს იგივე გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობით საუკეთესოდ გაართვას თავი სხვა კატეგორიის

საქმეებსაც. მას აქვს უნარი, იმსჯელოს სამართლებრივ საკითხებზე, შემდგომ კი აღნიშნული მსჯელობა შესაბამისი დასაბუთებით ასახოს პროექტებში. სამოქალაქო სამართალში შესაფასებელ პირს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. სისხლის სამართალში აქვს მატერიალური, პროცესუალური და საერთაშორისო სამართლის სათანადო ცოდნა, რის შედეგადაც ჯეროვნად აანალიზებს სამართლის ნორმებს. უსადაგებს საქმეში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, შესწევს უნარი სწრაფად მოიძიოს სამართლის პრეცედენტები. გულმოდგინედ უსმენს და ეცნობა მხარეთა არგუმენტაციას. მხოლოდ საქმეში არსებული მასალებითა და სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე მსჯელობს და ახდენს მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებას. მისი ნამუშევრები, გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებული, არგუმენტირებული და სტილისტურად გამართულია. იყენებს სამართლებრივ ტერმინებს, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს მსჯელობებს, ასევე არგუმენტირებულად უსადაგებს მის ნაშრომს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს. პიროვნულად არის გულისხმიერი, საუბარში აკადემიური და კორექტულია, მსჯელობს დამაჯერებლად, აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი და, ამავდროულად, აზრსაც დასაბუთებულად აყალიბებს, არის გაწონასწორებული, მშვიდი, აქვს უნარი სტრესულ გარემოში მართოს საკუთარი თავი. მზია გარშაულიშვილს აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა."

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 2 დეკემბერს მზია გარშაულიშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ მზია გარშაულიშვილი კარგად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. მანვე წარმატებით გაართვა თავი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლიდან დასმულ შეკითხვებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან ვერ გასცა პასუხი საერთაშორისო სამართლიდან დასმულ შეკითხვას.

საბოლოოდ, მიმაჩნია, რომ მზია გარშაულიშვილი კარგად იცნობს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატმა დასმულ საკითხებზე დააფიქსირა კვალიფიციური პასუხები, თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო არგუმენტირებული და დასაბუთებული.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მ'ხია გარშაულიშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის პირველი ინსტანციის სასამართლოში მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის - პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. ამასთან, იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „მზია გარშაულიშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტები ყოველთვის მოწონებას იმსახურებდა." ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, კომპეტენტურობიდან და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, შეუძლია გადაწყვეტილების მაღალ დონეზე დასაბუთება.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო კვალიფიციური და თანმიმდევრულია.

<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის მიხედვით, „მ'ზია გარშაულიშვილისთვის სირთულეს არ წარმოადგენს შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს მიღებული გადაწყვეტილებები, იმსჯელოს მიმდინარე საქმეზე, სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. მსმენელის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებებს საჭიროებდა. მ'ზია გარშაულიშვილს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ამომწურავად გადმოსცემს აზრს, მსჯელობისას გამოყოფს მნიშვნელოვან გარემოებებს, აკეთებს დასკვნებს, მიუსადაგებს შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ მ'ზია გარშაულიშვილს აქვს გამართული ზეპირი მეტყველების, წერის, აზრის ნათლად, დამაჯერებელად და გასაგებად ჩამოყალიბების უნარი, გააჩნია კამათის და სხვისი აზრის მოსმენის კულტურა. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>პროფესიული თვისებებთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მ'ზია გარშაულიშვილი არის შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი პიროვნება. აქვს სხვისი აზრის მოთმინებით

მოსმენის თვისება. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე არგუმენტირებულად და დასაბუთებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

<u>**აკადემიურ მიღწევებსა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი მზია გარშაულიშვილი მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მზია გარშაულიშვილს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

პროფესიული აქტივობის მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ მზია გარშაულიშვილს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის: განაჩენის დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე - (HELP-ის დისტანციური სასწავლო კურსი) - ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში და იუსტიციის უმაღლესი სკოლა; საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან - ევროკავშირი და ევროპის საბჭო; განაჩენის დასაბუთება (სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტური გამართულობა) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა და სხვა.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მზია გარშაულიშვილის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 88 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 09.12.2024